

## საკრედიტო პროდუქტების გადავადების პირობები მეორე ეტაპი

### 1. შესავალი

1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სს „ლიბერთი ბანკის“ (ს/ნ 203828304) (შემდგომში - **ბანკი**) გარკვეული კატეგორიის **კლიენტებისათვის**, შესაბამის **საკრედიტო პროდუქტებზე** გადახდების გადავადების პირობებს (შემდგომში - **მეორე ეტაპის გადავადების პირობები**). წინამდებარე დოკუმენტში მითითებული **მეორე ეტაპის გადავადების პირობებით** განსაზღვრულ პერიოდში, **ბანკსა და კლიენტს** შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის და **საკრედიტო პროდუქტის** გადასახდელების გადავადების პირობები განისაზღვრება წინამდებარე **მეორე ეტაპის გადავადების პირობების** შესაბამისად.

1.2. **მეორე ეტაპის გადავადების პირობები** წარმოადგენს **ბანკის** „კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების“, „საკრედიტო ბარათის პირობების“, „სოციალური სარგოს მიმღები პირის საბანკო ანგარიშის მომსახურების პირობების“ და **ბანკის კლიენტს** ფიზიკურ პირებთან გაფორმებული შესაბამისი **საკრედიტო ხელშეკრულების** დანართს.

1.3. **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე **მეორე ეტაპის გადავადების პირობებში** გათვალისწინებული პირობები, ტარიფები ან/და სხვა შემადგენელ დოკუმენტებში მოყვანილი წესები, პირობები ან/და ტარიფები იმისათვის, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და შესაბამის **კანონმდებლობასთან**.

### 2. ტერმინთა განმარტებები

2.1. თუ წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (**მეორე ეტაპის გადავადების პირობების**) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1. **კლიენტი** - ფიზიკური პირი (გარდა ინდ. მეწარმე ფიზიკური პირებისა), რომელიც **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვადასხვა საშუალებით (აგრეთვე **ბანკის** მომსახურების ობიექტების ან/და ელექტრონული არხების მეშვეობით) წარდგენილი განაცხადის საფუძველზე ან **საკრედიტო ხელშეკრულების** ხელმოწერით ეთანხმება **საკრედიტო პროდუქტით** სარგებლობის პირობებს, წარმოადგენს **საკრედიტო ხელშეკრულების მხარეს** და არის **საკრედიტო პროდუქტის** თანხის მიმღები;

2.1.2. **მიზნობრივი დახმარება** - COVID-19 თან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების ანტიკრიზისული სოციალურ-ეკონომიკური გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული მიზნობრივი სოციალური დახმარება;

2.1.3. **მეორე ეტაპის გადავადების პერიოდი** - **საკრედიტო პროდუქტის სრულად** დაფარვისთვის დამატებით განსაზღვრული ვადა, რაც დაიანგარიშება შემდეგი პრინციპით (თუ წინამდებარე დოკუმენტით სხვაგვარად არ იქნება დადგენილი), კერძოდ, შესაბამის **საკრედიტო პროდუქტის** მოქმედების ვადას დაემატება პერიოდი, რაც საჭიროა **მეორე ეტაპის საშეღავათო პერიოდის** გასვლის შემდგომ **საკრედიტო პროდუქტზე** შესაბამისი გადასახდელების (ძირითადი თანხის და დარიცხული პროცენტის) ოდენობების შენარჩუნების პირობებში **საკრედიტო პროდუქტის** სრულად დასაფარად, იმ დათქმით, რომ ასეთი გადავადება **პირველი ეტაპის გადავადების პერიოდთან** ერთად არ უნდა ზრდიდეს **საკრედიტო პროდუქტის** მოქმედების ვადას 12 (თორმეთ) თვეზე მეტი ვადით, რამაც შესაძლოა **საკრედიტო პროდუქტზე** ბოლო გადასახდელის გაზრდა გამოწვიოს.

2.1.4. **მეორე ეტაპის საშეღავათო პერიოდი** - დროის მონაკვეთი **2020 წლის 1 ივნისიდან 2020 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით**, რომლის განმავლობაშიც **კლიენტი** არ იხდის **საკრედიტო პროდუქტზე** დარიცხულ პროცენტს და საკომისიოებს, პირგასამტეხლოებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე **საკრედიტო პროდუქტის** ძირითად თანხას, თუ წინამდებარე დოკუმენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

2.1.5. **პირველი ეტაპის გადავადების პერიოდი** - 2020 წლის მარტში **ბანკის** მიერ ამოქმედებული **საკრედიტო პროდუქტების გადავადების პირობებით** განსაზღვრული გადავადების პერიოდი;

2.1.6. **საკრედიტო პროდუქტი** - **ბანკის** საკრედიტო პროდუქტი, რომელიც გაიცემა **საკრედიტო ხელშეკრულების** ფარგლებში **კლიენტზე**, **ბანკის** შეხედულებისამებრ, **კლიენტის** მიმართვის საფუძველზე, ხოლო თავის მხრივ **კლიენტი** იღებს ვალდებულებას სრულად დაფაროს ათვისებული **საკრედიტო პროდუქტის** თანხა, გადაიხადოს **საკრედიტო პროდუქტთან** დაკავშირებული გადასახდელები და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, **საკრედიტო პროდუქტებში** იგულისხმება მხოლოდ

**კლიენტზე** გაცემული შემდეგი საკრედიტო პროდუქტები, ესენია: (ა) სამომხმარებლო სესხი; (ბ) იპოთეკური სესხი; (გ) ოვერდრაფტი; (დ) საკრედიტო ბარათი; (ე) განვადება; (ვ) სოციალური სესხი (საპენსიო სესხი, ოვერდრაფტი, სოციალური ავანსი, დევილის სესხი); (ზ) სამეწარმეო სესხი; (თ) გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე გაცემულ სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხი.

2.1.7. **საკრედიტო ხელშეკრულება - კლიენტის მიერ ბანკისათვის წარდგენილი განაცხადის** (როგორც ელექტრონული, ასევე არაელექტრონული), გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების (ასეთის არსებობისას), ხელშეკრულების თავსართის (ასეთის არსებობისას), შემადგენელი ხელშეკრულების (ასეთის არსებობისას), სტანდარტული პირობების ან/და ნებისმიერი დამატებითი განაცხად(ებ)ის, დანართ(ებ)ის, მათ შორის წინამდებარე **მეორე ეტაპის გადავადების პირობების** ერთობლიობა, რომელიც დაიდო/დაიდება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2.1.8. **შემოსავლების სამსახური** - სსიპ შემოსავლების სამსახური.

### 3. მოქმედების სფერო

3.1. **მეორე ეტაპის გადავადების პირობები** ვრცელდება კლიენტის მიერ ბანკისგან მიღებულ როგორც უზრუნველყოფილ ასევე არაუზრუნველყოფილი ტიპის საკრედიტო პროდუქტებზე, თუ 2020 წლის 1 ივნისიდან 30 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში კლიენტს უწევს საკრედიტო პროდუქტზე გადახდის შესრულება და ამავდროულად დაცულია ყველა შემდეგი მოთხოვნა:

3.1.1. 2020 წლის 14 მარტის მდგომარეობით:

3.1.1.1. საკრედიტო პროდუქტიდან გამომდინარე კლიენტს შესასრულებელი აქვს ფულადი ვალდებულება;

3.1.1.2. კლიენტს არ გააჩნია 30 (ოცდაათი) დღეზე ხანგრძლივი შეუსრულებელი ფულადი ვალდებულება ნებისმიერი ფინანსური ორგანიზაციიდან მიღებულ რომელიმე საკრედიტო პროდუქტზე;

3.1.1.3. ნებისმიერი ფინანსური ორგანიზაციიდან კლიენტის მიერ მიღებულ რომელიმე საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული საკრედიტო დოკუმენტაცია არ არის გადაცემული პრობლემური კრედიტების მართვის შესაბამის სამსახურს;

3.1.1.4. რომელიმე ფინანსური ორგანიზაციაში კლიენტს არ აქვს არცერთი საკრედიტო პროდუქტი სტატუსით - ჩამოწერილი.

3.1.2. 25%-ით ან მეტით შემცირებულია კლიენტის მაისის თვის შემოსავალი თებერვალში მიღებულ შემოსავალთან შედარებით;

3.1.3. ბანკის კლიენტი არ წარმოადგენს ინდ. მეწარმეს.

3.1.4. შემოსავლების სამსახურში კლიენტი რეგისტრირებულია და არის მიზნობრივი დახმარების მიმღები;

3.2. თუ კლიენტი აკმაყოფილებს ამ დოკუმენტის 3.1 პუნქტში აღნიშნულ მოთხოვნებს, მეორე ეტაპის გადავადების პირობები გავრცელდება ქვემოთმოცემულ შემთხვევებზე შემდეგი დათქმებით:

3.2.1. სამეწარმეო სესხზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) ასეთი სესხი განეკუთვნება „HoReCa“-ს სექტორს, (ბ) ერთ კლიენტზე ასეთი სესხ(ებ)იდან გამომდინარე ჯამური ძირითადი თანხის ნაშთი არ აღემატება 100 000 (ასი ათასი) ლარს;

3.2.2. სოციალურ სესხებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კლიენტმა ისარგებლა პირველი ეტაპის გადავადების პერიოდით და სრულად აკმაყოფილებს წინამდებარე დოკუმენტის 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

3.2.3. თუ კლიენტს აქვს ბანკისგან მიღებული მიმდინარე სოციალური სესხები, ისარგებლა პირველი ეტაპის გადავადების პერიოდით, მაგრამ არ არის მიზნობრივი დახმარების მიმღები, ასეთი შემთხვევაში მეორე ეტაპის გადავადების პირობები გავრცელდება სოციალურ სესხებზე და არა ბანკისგან მიღებულ სხვა საკრედიტო პროდუქტებზე.

3.3. მეორე ეტაპის გადავადების პირობები არ ვრცელდება:

3.3.1. ოქროთი უზრუნველყოფილ სესხებზე;

3.3.2. დეპოზიტით ან/და რომელიმე სახის ანგარიშ(ებ)ზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილ სესხებზე;

3.3.3. სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული პროექტების ფარგლებში გაცემულ კრედიტებზე - „შეღავათიანი აგრო კრედიტი“ და „აწარმოე საქართველოში“;

3.3.4. კლიენტზე გაცემულ სამეწარმეო სესხებზე (გარდა ამ დოკუმენტის 3.2.1 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევისა);

3.3.5. ბანკის ინდ. მეწარმე კლიენტების საკრედიტო პროდუქტებზე (გარდა იმ საკრედიტო პროდუქტისა, რომელზედაც თანამსესხებელია არა ინდ. მეწარმე ფიზიკური პირი და უშუალოდ აქვს მიღებული ბანკისგან საკრედიტო პროდუქტის თანხა);

3.3.6. იურიდიული პირის საკრედიტო პროდუქტებზე (გარდა იმ საკრედიტო პროდუქტისა, რომელზედაც თანამსესხებელია არა ინდ. მეწარმე ფიზიკური პირი და უშუალოდ აქვს მიღებული ბანკისგან საკრედიტო პროდუქტის თანხა).

#### 4. გადავადებით სარგებლობა

4.1. მეორე ეტაპის გადავადების პირობებით სარგებლობის შემთხვევაში:

4.1.1. საკრედიტო პროდუქტებზე, როგორც წესი, გავრცელდება მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდი და მეორე ეტაპის გადავადების პერიოდი თუ წინამდებარე დოკუმენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

4.1.2. მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის განმავლობაში კლიენტი არ გადაიხდის საკრედიტო პროდუქტის ძირითად თანხას, დარიცხულ პროცენტს, საკომისიოებს და პრეგასამტეხლოებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმის მიუხედავად, რომ მოცემულ პერიოდში არ შეჩერდება და გაგრძელდება პროცენტის და საკომისიოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დარიცხვა;

4.1.3. კლიენტს არ დაერიცხება წინსწრების (ვადაზე ადრე დაფარვის) საკომისიო საკრედიტო პროდუქტის ძირითადი თანხის იმ გადახდებისთვის, რომელიც მან განახორციელა მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის განმავლობაში, თუ საკრედიტო პროდუქტის შესამცირებელი თანხა არ აღემატება კონკრეტული საკრედიტო პროდუქტისთვის განსაზღვრულ ძირითადი თანხის დაფარვის ოდენობას, რაც განსაზღვრული იყო მეორე ეტაპის გადავადების პირობებით სარგებლობამდე მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის შესაბამის თვეს განსახორციელებელ ძირითადი თანხის გადასახდელის ოდენობას. გაუგებრობის გამოსარიცხად ეს პირობა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც კლიენტი პირდაპირ ან ირიბად (სხვა პირის მეშვეობით) სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან მიღებული საკრედიტო პროდუქტის საშუალებით ახორციელებს საკრედიტო პროდუქტის წინსწრებით შემცირებას;

4.1.4. მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის გასვლის შემდგომ:

4.1.4.1. საკრედიტო პროდუქტის გადახდის თრიღები და დაფარვის ინტერვალები (ყოველთვიური, ყოველკვარტლური და ა.შ) დარჩება უცვლელი იმ დათქმით, რომ შესაბამისი საკრედიტო პროდუქტის სრულად დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ამ საკრედიტო პროდუქტისთვის განსაზღვრულ მეორე ეტაპის გადავადების პერიოდის ვადას;

4.1.4.2. მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდში საკრედიტო პროდუქტზე დარიცხული პროცენტი და საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დასაფარი ძირითადი თანხა გადანაწილდება საკრედიტო პროდუქტის მოქმედების პერიოდზე (მოიცავს მეორე ეტაპის გადავადების პერიოდსაც) ისე, რომ შესაბამისი დაფარვის ინტერვალებით განსაზღვრული გადასახდელის (შენატანების) ოდენობა არ გაიზრდება იმის მიუხედავად, რომ თითოეული შენატანის საკრედიტო პროდუქტის ძირითადი თანხის, დარიცხული პროცენტის და საკომისიოების პროპორცია შეიცვლება;

4.1.4.3. მეორე ეტაპის გადავადების პირობების ამოქმედებამდე საკრედიტო პროდუქტზე დარიცხული პრეგასამტეხლოები ასევე ექვემდებარება გადავადებას და მისი გადახდა უნდა განახორციელოს კლიენტმა მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის გასვლის შემდგომ, საკრედიტო პროდუქტზე გადასახდელის გადახდის პირველივე თარიღში.

4.1.4.4. მეორე ეტაპის გადავადების პერიოდში საკრედიტო პროდუქტის ძირითადი თანხის ნაშთს დაერიცხება პროცენტი და საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც ამავდროულად გულისხმობს, რომ საკრედიტო პროდუქტის დარიცხული პროცენტის და საკომისიოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყველა გადასახდელის ჯამური ოდენობა გაიზრდება.

4.1.5. გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე გაცემულ სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხებთან (ავტოლომობარდი) მიმართებაში:

4.1.5.1. ანუტიტეტური დაფარვის გრაფიკის მქონე სესხზე, მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის განმავლობაში გავრცელდება მხოლოდ ძირითად თანხაზე, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნულ საშელავათო პერიოდში კლიენტს არ მოეთხოვება საკრედიტო პროდუქტის ძირითადი თანხის დაფარვა, ხოლო დარიცხული პროცენტი და სხვა გადასახდელის კლიენტმა უნდა გადაიხადოს მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდშიც, შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თარიღებში, მეორე ეტაპის გადავადების პერიოდში საკრედიტო პროდუქტის დაფარვის წესის გათვალისწინებით;



4.1.5.2. თუ სესხის დაფარვის გრაფიკი ითვალისწინებს ძირითადი თანხის **საკრედიტო პროდუქტის** მოქმედების ვადის ბოლო დაფარვას და ეს გარემოება დგება **მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდში**, მაშინ დარიცხული პროცენტი და სხვა გადასახდელი კლიენტმა უნდა გადაიხადოს **მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდშიც**, შესაბამისი **საკრედიტო ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ თარიღებში, ხოლო **საკრედიტო პროდუქტის** ძირითადი თანხა **კლიენტმა** სრულად უნდა დაფაროს სექტემბერში, შესაბამისი **საკრედიტო ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ დაფარვის რიცხვში;

4.1.6. **საკრედიტო ბარათებთან მიმართებაში:**

4.1.6.1. **მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის** გასვლამდე დარიცხულ საკრედიტო ბარათის გადასახდელს **კლიენტი** განახორციელებს აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ მომდევნო შენატანების გადახდისთვის შესაბამისი **საკრედიტო ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ თარიღებში, თანაბარწილებად, რაც გაზრდის საკრედიტო ბარათზე მინიმალური შენატანების ოდენობას;

4.1.6.2. **მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდში დარიცხული** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადანაწილდება აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ მომდევნო შენატანების გადახდის თარიღებში, თანაბარწილებად, რაც გაზრდის გადასახდელი შენატანის ოდენობას.

4.1.6.3. **მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის** განმავლობაში შესაძლებელი იქნება საკრედიტო ბარათის ლიმიტით სარგებლობა, გარდა იმ შემთხვევისა თუ საკრედიტო ბარათის ლიმიტი ან მისი ნაწილი რომელიმე საფუძვლით, მათ შორის ბანკის ინიციატივით შეწყვეტილია/გაუქმებულია;

4.1.6.4. საკრედიტო ბარათზე არ გავრცელდება **მეორე ეტაპის გადავადების პერიოდი**.

4.1.7. **ოვერდრაფტებთან მიმართებაში (გარდა სოციალური ოვერდრაფტისა):**

4.1.7.1. **მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის** განმავლობაში დარიცხულ პროცენტს **კლიენტი** გადაიხდის აღნიშნული საშელავათო პერიოდის გასვლის შემდგომ, მომდევნო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში შესაბამისი **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული შენატანების გადახდის თარიღებში, თანაბარწილებად, **მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის გასვლის** შემდგომ დარიცხულ გადასახდელთან ერთად, რაც გაზრდის ოვერდრაფტზე მინიმალური შენატანების ოდენობას;

4.1.7.2. ივნისში გადასახდელი პროცენტი კლიენტმა უნდა გადაიხადოს 2020 წლის 7 სექტემბერს;

4.1.7.3. **მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის** გასვლის შემდგომ ოვერდრაფტზე მინიმალური შენატანის განხორციელების პირველი თარიღი იქნება 2020 წლის 9 სექტემბერი, იმ დათქმით, რომ ამ თარიღიდან (2020 წლის 9 სექტემბრიდან) 27 (ოცდაშვიდი) დღის განმავლობაში, **კლიენტი** ვალდებული იქნება განახორციელოს შესაბამისი გადასახდელის გადახდა;

4.1.7.4. **მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდში დარიცხული** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადანაწილდება აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ მომდევნო შენატანების გადახდის თარიღებში, თანაბარწილებად;

4.1.7.5. **მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის** განმავლობაში შესაძლებელი იქნება ოვერდრაფტის ლიმიტით სარგებლობა, გარდა იმ შემთხვევისა თუ ოვერდრაფტის ლიმიტი ან მისი ნაწილი რომელიმე საფუძვლით, მათ შორის ბანკის ინიციატივით შეწყვეტილია/გაუქმებულია;

4.1.7.6. ოვერდრაფტებზე არ გავრცელდება **მეორე ეტაპის გადავადების პერიოდი**.

4.1.8. **სოციალურ სესხებთან (საპენსიო, ოვერდრაფტი, სოციალური ავანსი, დევენილის სესხი) მიმართებაში:**

4.1.8.1. **მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის** განმავლობაში სოციალურ სესხებზე **კლიენტი** ყოველთვიურად გადაიხდის მხოლოდ დარიცხულ სარგებელს და სხვა გადასახდელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო ძირითად თანხას აღნიშნული საშელავათო პერიოდის გასვლის შემდგომ მომდევნო გადახდის თარიღებში, იმ წესით, რომ შეძლებისდაგვარად არ გაიზარდოს ყოველთვიური შენატანის ოდენობები.

4.1.8.2. სოციალურ ოვერდრაფტებზე მარტი, აპრილი, მაისში დარიცხული და **კლიენტის** მიერ გადაუხდელი პროცენტები: (ა) გადანაწილდება **მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის** დასრულების შემდეგ მომდევნო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში შესაბამისი **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული შენატანების გადახდის თარიღებში, თანაბარწილებად, **მეორე ეტაპის საშელავათო პერიოდის გასვლის** შემდგომ დარიცხულ გადასახდელთან ერთად, რაც გაზრდის ოვერდრაფტზე მინიმალური შენატანების ოდენობას; ან (ბ) **ბანკის** გადაწყვეტილებით, დაიფარება სოციალურ ოვერდრაფტზე ხელმისაწვდომი ძირითადი თანხის მეშვეობით (მათ შორის სოციალური ოვერდრაფტის ლიმიტის გაზრდის გზით), რაც გამოიწვევს მომდევნო გადასახდელის გარკვეულ ზრდას.

4.2 **მეორე ეტაპის გადავადების პირობებით სარგებლობაზე უარის თქმა**

4.2.1 იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** არ სურს **საკრედიტო პროდუქტთან** გადასახდელის შეტანის ვალდებულების გადავადება, იგი უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს**, მათ შორის დისტანციური არხების ((ინტერნეტ

ბანკინგის/მოზაილ ბანკინგის ან ქოლ-ცენტრის, ATM (ბანკომატების) მეშვეობით და დააფიქსიროს რომ არ სურს გადასახდელების გადავადება, არაუვიანეს 2020 წლის 30 ივნისისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შესაბამის **საკრედიტო პროდუქტებზე** ავტომატურად გავრცელდება **მეორე ეტაპის გადავადების პირობები**.

4.2.2 თუ **კლიენტი** 2020 წლის 30 ივნისის შემდეგ გადაწყვეტს, რომ აღარ სურს სრულ პერიოდზე შეღავათი, **კლიენტმა** უნდა მიმართოს **ბანკს** მათ შორის დისტანციური არხების (ინტერნეტ ბანკინგის/მოზაილ ბანკინგის ან ქოლ-ცენტრის) მეშვეობით იმისთვის, რომ მოხდეს მხარეთა შეთანხმება გადახდის გრაფიკის ცვლილებასთან დაკავშირებით.

4.2.3 **კლიენტი** ადასტურებს და ეთანხმება, რომ **ბანკის** მიერ ზემოაღნიშნული პირობების დაცვით შედგენილ **საკრედიტო პროდუქტების** გადახდის გრაფიკებს, ასევე **ბანკის** ვებ-გვერდზე ან/და **ბანკის** სხვა საინფორმაციო წყაროებში/არხებში განთავსებულ და **ბანკის** მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის **ბანკის** მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭედებს, რომლებიც დამოწმებულია **ბანკის** დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა **საკრედიტო ხელშეკრულებებით** გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

## 5. გარდამავალი დებულებები

5.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **ბანკსა** და **კლიენტს** შორის გაფორმებული, შესაბამისი **საკრედიტო ხელშეკრულების** დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

5.2. წინამდებარე **მეორე ეტაპის გადავადების პირობებსა** და **ხელშეკრულების** (მათ შორის ძირითადი ხელშეკრულების, სტანდარტული პირობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი დანართის) პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, **საკრედიტო პროდუქტებზე** გადასახდელ(ებ)ის გადავადების რეგულირებისას უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე პირობებს.

5.3. თუ წინამდებარე დოკუმენტის პირობების რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას ამ დოკუმენტის დანარჩენი პუნქტების იურიდიულ ძალაზე.

5.4. **ბანკს** უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე **მეორე ეტაპის გადავადების პირობების** ტექსტში და აღნიშნულის შესახებ აცნობოს კლიენტს **ბანკის** საინფორმაციო საშუალებების (ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და სხვა საშუალების) მეშვეობით.

5.5. **ბანკის** მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების გადავადება (რაც მოიცავს გარანტიების დარღვევის და შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილ უფლებებსაც) არ ნიშნავს იმას, რომ **ბანკი** უარს ამბობს თავის უფლებებზე; აგრეთვე ნებისმიერი უფლების ნაწილობრივ ან სრულად გამოუყენებლობა არ ნიშნავს მომავალში ამ უფლების სრულად გამოყენებაზე უარის თქმას.